ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-8 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: არსებით სახელთა ბრუნება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „<u>მთას</u> შეჰყურებდა გაღმიდან პირიმზე.“?**
   ა) ნათესაობითში ბ) სახელობითში გ) მიცემითში
2. **რომელი სიტყვაა მოთხრობით ბრუნვაში?**
   ა) მეგობარმა ბ) მეგობარს გ) მეგობრის
3. **რომელი სიტყვაა კვეცადი წინადადებაში: „გიორგიმ ჩანთის აღება გადაწყვიტა.“?**
   ა) გიორგი ბ) ჩანთა გ) გადაწყვიტა
4. **რომელ ბრუნვაშია სიტყვა „ტყეს“?**
   ა) მიცემითში ბ) ნათესაობითში გ) სახელობითში
5. **რომელ ბრუნვაში ხდება ფუძის კუმშვა?**
   ა) ნათესაობითში ბ) მოთხრობითში გ) სახელობითში

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: ზედსართავი სახელი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვაა ზედსართავი სახელი?**
   ა) ნამცხვარი ბ) ტკბილი გ) სწრაფად
7. **რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ზედსართავი სახელი „ქართლელი“?**
   ა) რიცხვითს ბ) მოქმედების გ) წარმომავლობის
8. **რომელი ზედსართავია უფროობითი ხარისხის?**
   ა) ლამაზი ბ) ლამაზს გ) ულამაზესი
9. **რომელი ზედსართავი გამოხატავს ზომას?**
   ა) დაღლილი ბ) მწვანე გ) გრძელი
10. **რომელია ოდნაობითი ხარისხის სწორი ფორმა?**
    ა) მოტკბო ბ) მოწითლო გ) მომწრო

III სავარჯიშო: ნაცვალსახელის ჯგუფები და ბრუნება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელ წინადადებაშია ნაცვალსახელი სწორად გამოყენებული?**
    ა) ეს ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა.
    ბ) ამას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა.
    გ) ამან ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა.
12. **რომელ წინადადებაშია ნაცვალსახელი შეცდომით გამოყენებული?**
    ა) მითხრა, რომ ჩვენ დაგველოდება.
    ბ) მითხრა, რომ თქვენ დაგელოდებათ.
    გ) მითხრა, რომ მაგან გელოდება.
13. **რომელი წინადადებაა სწორად ჩამოყალიბებული?**
    ა) მეც მასთან ერთად ვიყავი სოფელში.
    ბ) მეც მასთან ერთად ყოფილვარ სოფელში.
    გ) მეც მასთან ერთად ვიყავით სოფელში.

14. სიტყვა „მათი“ არის:

ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი
ბ) პირის ნაცვალსახელი
გ) ზედსართავი სახელი

15. რომელი ნაცვალსახელი გამოხატავს უარყოფას?

ა) ვინმე ბ) არავინ გ) სადაც

IV სავარჯიშო: ზმნა და მასთან დაკავშირებული მართლწერის ნორმები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელ წინადადებაშია ზმნა სწორად გამოყენებული?

ა) ის წავალ დასასვენებლად.
ბ) ის წასულან დასასვენებლად.
გ) ის წავიდა დასასვენებლად.

17. რომელ წინადადებაშია ორპირიანი ზმნა?

ა) გუშინ ოთახიდან ჩუმად გავიპარე.
ბ) გუშინ ოთახიდან ჩუმად გავეპარე.
გ) გუშინ ოთახიდან ჩუმად გაიპარა.

18. რომელ წინადადებაშია ზმნის სუბიექტი პირველ პირში?

ა) შენ თუ მიირთვი, შეგიძლია ფოიეში გადმოინაცვლო.
ბ) მე უკვე ვჭამე და შენც უნდა ჭამო.
გ) ისინი საღამომდე ელოდებოდნენ სტუმარს.

19. რომელია ზმნის სწორი ფორმა?

ა) ყოფილვარ ბ) ვყოფილხარ გ) ვყოფილვარ

20. რომელია ზმნა?

ა) მოვდივარ ბ) ცეცხლი გ) წარსული

V სავარჯიშო: მართლწერა და ლექსიკა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. რომელი ფორმაა სწორი?

ა) ზუსტად ბ) სუსტათ გ) ზუსტათ

22. რომელი სიტყვაა შეცდომით დაწერილი?

ა) სიამოვნება ბ) ტყუილი გ) საშვალება

23. სიტყვა „მზერა“ ნიშნავს:

ა) ხმას ბ) ყურებას გ) მოულოდნელობას

24. სიტყვა „გაქცევა“ გამოხატავს:

ა) ადგილს ბ) თვისებას გ) მოქმედებას

25. სიტყვა „შეხვდება“ არის:

ა) ზედსართავი სახელი ბ) რიცხვითი სახელი გ) ზმნა

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

სვეტიცხოვლის ტაძარი

სვეტიცხოვლის ტაძარი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართველი ხალხის რელიგიურსა და კულტურულ ცხოვრებაში. პირველი ეკლესია ამ ადგილას IV საუკუნეში აშენდა, დღევანდელი ტაძარი კი 1010–1029 წლებში აიგო კათოლიკოს მელქისედეკის ხელმძღვანელობით. ტაძარი აგებულია თლილი ქვით და გამოირჩევა სიდიადითა და მდიდარი შემკულობით.

ლეგენდის თანახმად, სვეტიცხოველი დაკავშირებულია ქრისტეს კვართთან: კვართის დაფლვის ადგილას ამოიზარდა ლიბანის კედარი, რომლისგანაც შვიდი სვეტი გამოთალეს. მეშვიდე სვეტი სასწაულებრივად თავად აღიმართა. სწორედ ამ ლეგენდამ წარმოშვა ტაძრის სახელწოდება – სვეტიცხოველი.

ტაძარში არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მომხდარა: აქ აკურთხებდნენ მეფეებს, აქ განისვენებენ ბაგრატიონთა დინასტიის წევრები, აქვე ინახებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საგანძური. ტაძრის შიგნით შემორჩენილია ბიბლიური სცენების კედლის მხატვრობა.

არქიტექტურულად სვეტიცხოველი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. იგი შიგნიდან ნათელი და ჰაეროვანია, გარედან კი შთამბეჭდავია იშვიათი ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით. თითოეული დეტალი ძველ ქართულ ოსტატობას ასახავს.

დღეს სვეტიცხოველი მოქმედი საკათედრო ტაძარი და მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრია. ის საქართველოს იდენტობის, რწმენისა და უწყვეტი კულტურული განვითარების სიმბოლოა.

26. რომელ საუკუნეში აიგო დღევანდელი სვეტიცხოველი?

ა) VII–VIII საუკუნეებში ბ) XI საუკუნეში გ) XIII–XIV საუკუნეებში

27. ვისი ხელმძღვანელობით აიგო დღევანდელი ტაძარი?

ა) მეფე ბაგრატის
ბ) კათოლიკოს მელქისედეკის
გ) მოცეკვავეების

28. რას უკავშირდება სვეტიცხოვლის სახელწოდება?

ა) სასწაულებრივად აღმართულ სვეტს
ბ) ძველ ქართულ წიგნს
გ) წმინდა გიორგის ხატს

29. ვისი კვართია დაკავშირებული სვეტიცხოველთან?

ა) წმინდა ნინოს
ბ) იესო ქრისტეს
გ) ელია წინასწარმეტყველის

30. რომელი სამეფო დინასტიის წარმომადგენლები განისვენებენ სვეტიცხოველში?

ა) დადეშქელიანები ბ) არშაკიანები გ) ბაგრატიონები

31. რას ვნახავთ ტაძრის შიგნით?

ა) ქართულ საბავშვო წიგნებს
ბ) ღვინის ჭურჭელს
გ) ბიბლიური სცენების კედლის მხატვრობას

32. როგორია სვეტიცხოვლის არქიტექტურული ტიპი?

ა) წრიული პლანის ნაგებობა
ბ) სამსაფეხურიანი ბაზილიკა
გ) ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა

33. რა არის დამახასიათებელი ტაძრის შიდა სივრცისთვის?

ა) სიბნელე და სივიწროვე
ბ) სინათლე და ჰაეროვნება
გ) ბრწყინვალე სარკეები

34. რა ხდის ტაძარს ვიზუალურად შთამბეჭდავს?

ა) ფრესკებზე დაწერილი ლოცვები
ბ) ოქროს სვეტები
გ) იშვიათი ბარელიეფები და ჩუქურთმები

35. რას წარმოადგენს სვეტიცხოველი თანამედროვე საქართველოში?

ა) გასართობ სივრცეს
ბ) სამთავრობო შენობას
გ) რწმენისა და ეროვნული კულტურის სიმბოლოს

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ AVERSI

36. სიტყვა „აქტიური“ სხეულთან დაკავშირებულ კონტექსტში ნიშნავს:

ა) მოძრავს, ენერგიულს
ბ) სუსტს, დაღლილს
გ) მხოლოდ გონებრივი საქმიანობით დაკავებულს

37. „სანტე“ იყო საქართველოში პირველი კომპანია, რომელმაც მთელი ქვეყნის ..... გლეხებისგან რძის შეგროვება დაიწყო.

ა) მაშტაბით ბ) მასშტაბით გ) მარსშტაბით

სანტე
ღორგორკი

38. „შავ დღეში ჩავარდა“ ნიშნავს:

ა) მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა
ბ) შავები ჩაიცვა
გ) ძალიან გაუხარდა

39. ანდაზა „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“ ნიშნავს:

ა) მარტოობა ჯობს
ბ) ადამიანი წინაპრების ჩვევას არ ღალატობს
გ) მეზობლები კარგები არ არიან

40. დაასრულეთ ანდაზა: „გამშველებელს მეტი .....“

ა) იცურაო ბ) გაიქცაო გ) მოხვდებაო